კვირა, 25 ივნისი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 20 კაპ.

ეშმაკი

№ 26

(მ ა თ რ ა ხ ი) 1917

შინაარსი: საღამოს ლოცვა—**ეშმაკი** დეპეშები. ნაპოვნი ღღიურიდან **თარაში** ნაწყვეტები—**ირ ტოფაძე** საჩქაროდ გამომცხვარი სოციალისტები—**თარაში** ფოთი—**ბუტუნა** შარადები—**ჩ. ჩილი** და **რო კო.** წითელი ბანტი—**ქ. ფუ.** ივანიკა—**ი. გოლგოთელი.** ეშმაკის კომისარი ქ. ოზურგეთში—**d.** ნახახულევი—**გრ. იმერელი.** ვარლამის ხერხი—**ძამია.** ***—**ალ. კვაჭ ძე.** ველისცხენ—**ჯ. ბილა** ნამდვილი მოამაგე—**ასარი** ფოსტა.

სურათები: კერენსკი ცდილობს. სურათები პირველი სოციალ-დემოკრატიული კონფერენციისა

კერენსკი ცდილობს



კერენსკი. თუ თავთავის ალაგას მოვათავსე, საქმე ვგონებ კარგათ წავა.

საღამოს ლოცვა*)

ზესთა-ზენაო! ვინაც იქმენ ჟამთ უწინარეს,
ვინაც განაგებ ცხოვრებისა გიქმაჟ მდინარეს,
ვინაც სივრცეთა გარეიჰერობ დაუსრულებელს
ძილად მავალი შენ აღგაჰერობ, სახიერო, ხელს!

შენ გეუფლების ჩვენი ბედი და უბედობა,
ჩვენი ეოფნისა და არეოფნის საიმედობა,
რაძე თუ შენ სარ განძგებელი საწუთროისა,
ჟამთა განვლილთა, მომავალ და აწმეო დროისა.

მე არარა მაქვს გულში შენთან დასაფარავი,
ღიაა იგი, ვითა მწყემსის ღამის კარავი,
მაშ შეისმინე თხოვნა ჩემი საბეღისწერო
მისი სიწმინდე, გულწრფელობა გთხოვ დაიჯერო.

ძილი ღამისა მომანიჭე გულდასამშვიდი,
მე რვას არა გთხოვ, დაე იეოს საათი შვიდი,
ოღონდ არსებამ დაისვენოს დღით დაქანცულმა
ნეტარის, ტკბილი განსვენებით, ვითა ქალწულმა.

გულთამხილაო! შიში იჰერობს ჩემსა გონებას,
თუმცა არ ველი სასუფეველს, წმინდა ცხოვნებას,
მაგრამ მსურს დავრჩე რათაც მთვლიან მე კაცთა შორის
არ მსურს მეწოდოს მე სახელი ჰროეოკატორის.

მე გარდაქმნისა, სახიერო, არა მაქვს რიდი,
ცოდვას თუ ვსთესავ, მით სასჯელსაც კი მოვიმკიდი,
მაგრამ არა მსურს გავხდე მტერი გულისა სწორის,
არ მსურს მეწოდოს მე სახელი ჰროეოკატორის.

---

*) ყოველი წევრი ყოველი პარტიისა, აგრეთვე თანმშრომელი, თანამგრძნობი და მკითხველი „ეშმაკის მათრახისა“ ვალდებულია დაწოლის წინ წაიკითხოს ზემოაღნიშნული ლოცვა ეშმაკისა და დაწვეს გულ დამშვიდებით. პირჯვარის წერა სავალდებულო არ არის.

რედაქცია.

რათაც გენებოს მათ გარდამქმენ ცხოველთა შორის
ოღონდ მაშორე მე სახელი ჰროვოკატორის.
დაე მე ვიქცე ფუქსავატათ, ბრიყვ ორატორათ,
ნუ გამხდი სასიერო ჰროვოკატორათ.

ოღონ

მე არ მეკრძალვის თუ მექნება წყალობა შენი,
ხვალ დილით ავდგე გინდ კამეჩი, სარი, გინდ ცხენი,
გარდამაქციე კურთხეულო, ეირათ, გინდ ჯორათ,
ოღონდ ნუ გამხდი, გენაცვალე ჰროვოკატორათ.

კატა რა არის, შურა ძაღლი, ღრუტუნა ღორი,
მათ შევედარო ჯერ არ მადგას ასეთი «ზორი»,
მაგრამ მირჩევნის გარდაგიქცე ძაღლათ, გინდ ღორათ,
ოღონდ ნუ გამხდი სასიერო ჰროვოკატორათ.

დაე გადამქმენ კაცის მკვლელათ და გულ ბოროტათ,
ქურდათ, ჯიბგირ:თ, რენეგატათ (თედორე ღლონტათ)
ქეეწარმაგალთა გადამქმენი მე თანასწორად,
ოღონდ ნუ მაქცევ, მეუფეო, ჰროვოკატორათ.

მაქციე ჯოჯოთ, არ ვიგუო, გავხდე უაბული
გავხდე წურბელა გინდ გომბიო მე დაუვაჰული,
არსება ჩემი გარდაიქცეს თუნდ ცოცხალ მძორათ,
ოღონდ ნუ მაქცევ, გეგედრები, ჰროვოკატორათ.

ს. ი. გოგებაშ

სხვა უფრო ბილწი, უხეირო და საზიზღარი
არრა მეგულვის გარე მისსა, რაცა გითხარი,
რისაც გენებოს გარდამქმენი მე მისად სწორათ
ერთის ჰირობით: ნუ გავხდები ჰროვოკატორათ.

მე სხვა არა მაქვს მეუჯეო შესათხოვარი,
შენა ხარ ჩემი იეგოვა და მაცხოვარი,
ვედრებას ჩემსას ნუ მიიღ,ბ ეურთ განსაშორად
ნუ, ნუ გარდამქნი მძლეთა-მძლეო ჰროვოკატორათ.

ეშმაკი.

(შემდეგი იქნება)



ს. დ. სიეზდის დელეგატი სვანეთის მხრიდან.

(ვინაიდან ჩვენი ჟურნალის ერთ სვეტში არ დაეტია ამხანაგი, გადავსწყვიტეთ მისი გაგრძელება შემდეგ ნომერში მოვათავსოთ, სახელსაც მაშინ მოვაწერთ.)

ს. დ. კონფერენციაზე.

ამხანაგი სანდრო ჟორჟოლიანი—ეს ისეთი არგუმენტია, რომელიც შეანგრევს...

საგანგებო დეპეშები

ხერხისუბანი. დაარსდა მხერხავთა რესპუბლიკა. პრეზიდენტათ აირჩიეს გიორგი სოხაძე ერთი ხმით ას ხუთი ხმის წინააღმდეგ. განზრახვაა თფილისს გამოეყონ. საჭიროა სწრაფი და ენერგიული ზომები.

—

იქიდანავე. უკვე შესდგა რაზმი, რომელსაც იერიშები მიაქვს ნასყიდას სიმაგრეზე. იერიშის მიმტანნი მუდამ უკუ იქცევიან ხოლმე, მაგრამ ბარბაცითა და ყვირილით.

ქუთაისი (დაგვიანებულია) 5 ივნისს, ღამის 12 საათზე ძმათა ეფიმოვების ცირკში თითქმის ერთხმათ იქმნა არჩეული „ჟიურის“ წევრათ ჩვენი თანამემამულე პაოლო იაშვილი.

ტიხონი.

ფოთი. კუნძულზე წყალწაღებული ხიდის კომისიამ აღმოაჩინა ხსენებულ ხიდის პროექტზე **საიდუმლო წითელი წარწერა**, სამინისტროს მიმართ „Не подлежитъ, не отпускать кредитъ-ო და სხვა და სხვ. წარწერები ნავთსადგურის უფროსებს ბ. ბ. ინჟინერებს პეტროვს და სერგეევს ეკუთვნის. ისინი აცხადებენ: „სამინისტრო გვატანდა ძალას ასე მოვქცეულიყავითო“. „პატივცემული“ ხუროთ მოძღვრები უპრავაში პროექტებს ადგენდენ ქალაქის „სასარგებლოთ“, ხოლო სამინისტროში თურმე მიწასუთხრიდენ. ერთ-ერთი წყალობა ნათსადგურის ქალაქიდან მოწყვეტა არის ხიდის უქონელობით. კომისია და ჩვენი სააგენტოც შეთანხმდენ იმაში, რომ ხუროთ მოძღვრება ხიდის დაშლით იგერიებ-

დენ უპრავის თავდასხმას პორტის სამმართველოზე, რომლითაც დიდი დამარცხება მოელოდა პეტროვ-სერგეევის ჯიბეს. დღემდის ზემოაღნიშნულ საშვალებით იცავდენ პოზიციას, მარა ახლა ჩვენმა საგენტომ სტრატეგია შეიცვალა, ნაბადის ფრონტიდან მოუარა და იმედია სრულიად განიდევნონ ინჟინრები თავის პოზიციიდან.

ბუტუნა.

ნაპოვნი დღიურიდან

წინასიტყვაობა.

როგორც ყველას, ქვემორე ამისა ხელის მომწერსაც ძლიერ გაუკვირდა, როცა ფედერალისტები მიწის სოციალიზაციას მიეჰხრენ. ღმერთო! მემამულენი, რომელნიც შარშან თავგამოდებით იცავდნენ 90 წლის ერობას, ასე უცებ „გასოციალისტდენ!“ სწორეთ გასაკვირი იყო. მაგრამ „ერთი მათგანი“-ს დღიური, რომელიც შემთხვევით ჩამივარდა ხელში, ყველაფერს აშკარა-ჰყოფს. ამიტომაც საჭიროთ ვცნობ მოვიყვანო ამ შესამჩნევი დოკუმენტიდან ზოგიერთი საყურადღებო ადგილები. რადგანაც თვითეული ამ ადგილთაგანი თავის თავად დამახასიათებელია იმ მეტამორფოზის, რომელიც ხდებოდა მისი ავტორის მსოფლ-მხედველობაში,—მეც თითო ამონაწერს ვაძლევ ცალკე სათაურს, რომ მკითხველისათვის უფრო აშკარა გახდეს ყველაფერი, და იმედია ბ-ნი ეშმაკი არ დამიწუნებს რედაქტორობის უნარს.

1. მამულიშვილი თავისუფლების მოლოდინში.

ჩვენი სიცოცხლის მიზანი არის: „საქართველოს ავტონომია“. ჩვენ ამაზე ლაპარაკის ნებას არ გვაძლევენ, მაგრამ როცა ვხვდები ჩემს ამხანაგებს, მათ სახეზე აშკარად ვკითხულობ ერთს ჯერ გამოუთქმელ სიტყვას და ეს სიტყვა არის: „საქართველოს ავტონომია“.

ოხ, რა ძლიერია თავის მედიდურ მყუდროებაში ეს სიტყვა!

ერთი ახალგაზრდა იდეალისტი ლაპარაკობდა: არისო ქვეყნიერებაში ისეთი სიტყვა, რომელსაც შეუძლიან შეარყიოს ქვეყნიერება, მხოლოდ საჭიროა გამოვძებნოთ ეს სიტყვაო“. მას რა დიდი თავის მტვრევა უნდა! ეს სიტყვა არის უთუოდ „საქართველოს ავტონომია“.

მე ასე მგონია ქუჩაში ხმა-მაღლა რომ დაიძახო: „საქართველოს ავტონომია“-თქო, მთელი ქალაქი დაინგრევა. ყოველ შემთხვევაში არამიანცის შენობა ვერ აიტანს მას. მაგრამ სად არის თავისუფლება!

2. მულიშვილი და თავისუფლება.

სარკეში ვიღაცა ნაცნობის სახე მოსჩანს. მე ის სადღაც მინახავს სწორეთ, მაგრამ დანამდვილებით არ მახსოვს სად. მხოლოდ სადაც უნდა ყოფილიყო, სახე მეტად საზარელია. ბიჭს ვუბრძანე საჩქაროდ გადააგდე ეს სარკე-მეთქი, მაგრამ არ გაიგონა.

— გამოეთრი შე ყურუმსაღო მეთქი. დავუძახე ხმა-მაღლა რიხიანათ, მაგრამ არ მოდის.

ჩემმა მეუღლემ აკანკალებულის ხმით მომმართა:

— გეყოფა... თორემ ჩვენ კი არა მეფეს შავი დღე დააყენესო.

— შენ დამშვიდება გჭირია კნეინავ-მეთქი, ვუპასუხე მას და ავუხსენი დამშვიდების მნიშვნელობა ამ მომენტში.

თვით ხუთი მარტის დიდ მიტინგზე ყველა ორატორები ერთხმად დაღადებდენ თურმე მშვიდობიანობის საჭიროებას. (მე კნეინამ არ გამიშვა: „რა შენი საქმეა გლეხებთან ყიალიო“.) მაგრამ ჩემი სიტყვები ვერაფერს სჭრიან.

— დამშვიდდი! გეუბნები და დამიჯერე-მეთქი დამშვიდდი-მეთქი!

აქვითინდა. მთელს ოჯახში ყველა ატირებულია. ნეტა კადევ რა დაგვატყდა! გაზეთებსაც აღარ მაწვდიან და მეც რატომღაც არ ვბედავ მოვითხოვო. ალბად კიდევ რამე უარესი საშინელები ტრიალებს და რაღაცას მიმალავენ.

— ფუ, რა საზარელი სახე მოსჩანს სარკეშისად მინახავს ის ნეტა?

3. მამულიშვილის გასოციალისტება.

წოდებრივი პრივილეგიების გაუქმებას მიმალავდენ თურმე. ჩემმა მეუღლემ საიდუმლოთ შემატყობინა ყოველივე.

— ეს სხვაფრივ შეუძლებელი იყო-მეთქი, უპასუხე მშვიდათ (დამშვიდება უწინარეს ყოვლისა ბატონებო!)

— როგორ თუ!—გაფითრდა კნეინა.

— საწყალი! ამას არც კი წარმოუდგენია, რომ მე უკიდურესი სოციალისტი ვარ.

— რას ამბობ!—პირზე ცხვირსახოცი მომაფარა,

— გამეცალე-მეთქი, მივაძახე და ვკარი ხელი— მე სოციალისტი ვარ და დღესვე უნდა განვახორციელო სოციალიზმი, გესმის თუ არა? შეუტიე.

— ღმერთო ჩემო! — დააკივლა მწარეთ კნეინამ და გაფითრებული გაექანა თავის ოთახისკენ.

ალბათ საშინელი იყო ჩემი სახის გამომეტყველება, რადგანაც ჩემი ქალები, რომელნიც გამოცვივდენ დედის კივილზე, საჩქაროდ გაიქცენ.

— საწყალი მამა, უთუოდ ჭკუიდან შეირყაო!

— საწყალი თქვენა ხართ, თქვე ღორის კუდებო, რომ ასე გეშინიან სოზიალიზმისა-მეთქი და ყოვლის ღონით ვკარი ფეხი მათ ოთახის კარებს, მაგრამ კარები ჩაეკეტათ.

— სოციალიზმი დღესვე უნდა განხორციელდეს! გესმით თუ არა?—მივახალე დემონსტრატიულათ და გამოვედი გარეთ, გაცეცხლებული.

4. პირველი ნაბიჯი სოციალიზმისაკენ.

მაგრამ ირგვლივ მხოლოდ მოღალატეებსა ვხედავ. დედა-მიწის ზურგზე არ არის ისეთი ქართველი, რომელიც სამშობლოსა და სოციალიზმის ღალატს არ ეწეოდეს. გაფაციცებით დავეძებ ამხანაგებს. დღეს ერთი ბავშვი დავიჭირე ქუჩაში.

— შენ გწამს თუ არა საქართველოში მიწის სოციალიზაცია, რომელიც კვლავ აღდგენს ივერიის ძველ დიდებას-მეთქი. ბავშვი ჯერ გაფითრდა, მერე გამისხლტა ხელიდან და კივილით გაემართა შინისკენ. მე ვერ მოვითმინე: „ნუ თუ ეს ნორჩი ყვავილიც მოწამლულია ღალატის გესლით«-მეთქი, და გავედევნე ჯოხით. ატყდა ქუჩაში ჩოჩქოლი:

— გიჟი გამოეკიდა ბავშვსაო...

ღაწვ-გაკაწრული ბავშვის დედა მეცა და კინაღამ წვერ-ულკაში ჩამომიფცქვნა. მე ისევ ჯოხს მივმართე, რომ ბოლო მომეღო ასეთი უტაქტო გამოსვლებისათვის, მაგრამ ხელი არ გამანძრევინეს. ჰმ... ამას ჰქვია თავისუფლება!.. ამას ჰქვია მოქალაქის პატივისცემა?!.

5. თავის პარტიაში.

უფროსი იმ ახალი რევოლიუციონური დაწესებულებისა, რომელშიც მე მიმიყვანეს მომხდარ ინცინდენტის გამო—მეტად სიმპატიური პიროვნება აღმოჩნდა. გაიგო თუ არა საქმის ვითარება, მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩემს მდგომარეობაში. მისივე რჩევით მე ვრჩები მასთან, რადგანაც აქ ყველა ჩემი თანამოაზრეა. ძლივს ველირსე შეგნებულ საზოგადოებას. მას აქეთ, რაც მე დავიწყე ლაპარაკი მიწის სოციალიზაციზე, ამათ პირზე აკერიათ-„სოციალიზაცია“. ამ სიტყვით სცოცხლობს აქ ყველა. მასთან ჩემი თავი რეგენტად გაძოვაცხადევიდრე სრულიად საქართველოს ტახტის მემკვიდრე სრულ წლოვანი შეიქმნება. ყველა აღტაცებით შეხვდა ჩემს ნაბიჯს. მანიფესტის წაკითხვის დროს მოუწოდე კრებას პროტესტი გამოეცხადებინათ დასელების წარმოდგენისათვის, რომელიც მიჩნეული გვყავს მთავრობისგან მეთვალყურეთ, მთელი კრება თანაგრძნობით შეხვდა ჩემს წინადადებას და ზღვასავით აღელდა, აბობოქრდა პროტესტის ნიშნათ, მაგრამ გაჩნდა ამ დროს დასელების უფროსი და რადგანაც კრება არ დაიშალა, მოუხმო ჯალათებს. კრების მონაწილეებს შეუკრეს ხელები, უკრეს თავი ტომარაში, როგორც სასიკვდილოთ დასჯილებს და თავზე ცივი წყალი გადაასხეს.

— ნუ შეშინდებით ამხანაგებო! — ვამხნევებდი— თქვენ უმანკო მსხვერპლი ხართ და თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის! .

არც მე შემიბრალეს, მაგრამ აღარ შევდრკები.

დედანთან სწორია **თარაში.**

ნაწყვეტები

გაზაფხულმა ფრთა მედგარმა,
ზურგზე ხელი წაჰკრა ზამთარს!
ღა ფერადი ხალიჩები
მოაფინა კოხტათ მთა ბარს...
ფრინველთ გუნდმა საქორწილო,
შამოსძახა ველს მაყრული;
და გამეფდა ირგვლივ შვება,,
სიამე და სიხარული...
მზე კისკასობს, ბრწყინავს, ელავს,
თანაუგრძნობს ქვეყნისა ლხინს
და ბუნების სილამაზეს,
თავზე ადგამს სხივთა გვირგვინს...

* *
*

ტყვე ხელმწიფე ფანჯარიდან,
ნაღვლიანად გასცქერის შორს,

სოციალ-დემოკრატიულ კონფერენციაზე



ნახატი შ. ქიქოძისა.

ნოე ჟორდანია უსმენს თავის მოწინააღმდეგეთ.

ხედავს ზღვა ხალხს, დროშათ ფრიალს,
და ზიზღს უთვლის ბედის სასწორს...
ამბობს:—ნუ თუ სამუდამოთ
ჩამივარდა ცეცხლში კოვზი!
და ბრძანების ქაღალდებზე
ვერ მოვაწერ „ნიკოლოზი?!.“
კარის კაცნო! ჩემთან ერთად
დაღუპულნო, ესეც მარქვით;—
ჰარამხანა, რომ დაგითმეთ
სამეფო რად ჩამომართვით?!!
მაგრამ ჩრდილი რასპუტინის,
ნუ გეშს უვლენს ცრემლის მფრქვეველს;
საიქიოს ჰპირდება ტახტს,
და განცხრომის სასუფეველს...

* * *

ბევრჯელ, ოცოლს აპეკუნმა,
მომივლინა მწარე სუსხი;
და მეც შიშით, მაღარიჩად,
ჩემი სისხლი ჩამოუსხი ..
მაგრამ, როცა შეზარხოშდა
ჩემი სისხლით განალეში;
ხორცის შეჭმა დიმიპირა,

ს. დ. კონფერენციაზე.



ნახატი შ. ქიქოძისა.

ნოე ჟორდანია იცავს თავის ტეზისებს ნაციონალურ საკითხში.

დამაჭირა დანა ყელში...
მყის ავენთე, დავსცი ძირსა,
არ მიგრძვნია გულში შიში,
და პირ წმინდათ ამ ჩემ მტარვალს
გავუსწორე ანგარიში...
გმირთა გმირო! შენი ქცევით
მთლად ქვეყანა გააკვირე; —
ჩვენ გვესმოდა: გოლიათი,
როგორ დასჯერ დააყვირე;
ხალხის შვილი, ხალხის გულში
მოსცურავ და მოირხევი;
წითელ დროშის ფრიალითა,
გარდმოლახე მთა და ხევი; —
სისხლის მწოველ ძატაპირის,
თავი ვტორცნე ხანჯლის წვერით,
სიხარულით ფრთა შევისხით,
და ბნელიდან გამოვძვერით!..
ვაშა, მებრძოლ რაინდ მხედარს,
რომ დაამხე გელიათი;
და ხალხს ლამპრად უანდერძე,
შენი ქცევა და ლაზათი...

ორ. ტოფაძე.

საჩქაროთ გამომცხვარი სოციალისტები

(პოლიტიკური ეკონომიის ეკზამენზე)

პროფესორი პოლიტიკური ეკონომიისა ეკითხება სტუდენტს:

— მითხარით, რაში სწაროებს იგივეობა აგრარულსა და კაპიტალისტურ წარმოებათა შორის?

— იგივეობა იმაში სწარმოებს ბ-ნო პროფესორო, რომამ ჟამად მემამულენიც (აგრარიები) და კაპიტალისტებიც ერთობ სოციატისტები არიან.

— რაშია განსხვავება?

— განსხვავება იმაში გახლავთ, რომ მემამულენი ქალაქებში მოითხოვენ სოციალიზაციის დამყარებას, და ქალაქელი კაპიტალისტები კი — სოფლად...

თარაში.

ფიოთი.

ჩვენი თვითმართველობა,
მისი შორსმჭვრეტელობა,
ცოდნა ავლა-დიდება
მამალს აეკიდება.
კოჭლი აზრთა-ბჭობაში,
მარდი ძმაბიჭობაში.

—:—

ახალ არჩევნებიზა,
ნათლიმამურ ხმებიზა,
კიდევ ემზადებიან,
ტყავში აღარ დგებიან.
ძველი დროი ჰგონიათ
ხედვა აღარ ჰქონიათ.

—:—

ნუთუ სმენა არა აქვთ,
რომ ჰქუხს დემოკრატია?
ნუთუ ბალიაღობა
ვითომ ველარ დატია?
თუ კი ვინმეს არ დასწვავს
ძველი ცოდვის გენია,
თუ მშვიდობით წავიდენ
წასვლა რა საწყენია?!.

—:—

ისტორიას ჩაჰბარდა
მათი წესწყობილება,
ჩვენმა ძველმა მამებმა
ეს თუ აღარ ინება,
ეგ ზომ გამბედაობა
ერთობ გასაკვირია,
და ეშმაკსაც ვაცნობოთ:
მათრახები გვჭირია!

ბუტუნა.

შარადა

1

შეიარევით კრებაზე,
შეხედეთ თავმჯდომარესა; —
რა ,,იარაღით'' აფერხებს
ვინც სიტყვას იტყვის „მწარესა".
იმ ,,იარაღის'' სახელი
უნდა გაიყოს ორათა.
პირველი ჩვენა გვჭირია,
მეორე გავკრათ შორათა.
მერე კახეთში გასწიეთ.
სიღნაღის (გზითა სჯობია)
იქ ერთგვარ ცხოველს შეხვდებით
ყურებით შენამკობია.
იმის სახელიც უთუოდ
უნდა შუაზე გაიყოს.
ირველი შემოვინახოთ,
მეორე ძაღლმაც წაიღოს.
და წეღანდელსა პირველსა
მივაბათ ისე პირველი ..
მით მოთავდება შარადა —
შრომა და გასაჭირველი.
ორივე ერთად სიტყვაა
სათნო და სადიდებელი.
მას ბევრი ეტრფის ჩვენგანი,
ბევრი ჰყავს მაძიებელი.

ჩრჩილი.

—

2

საქმე არ მაქვს და უსაქმომ,
არ მინდა ტყვილა ვიღიღო;
და ამიტომაც შარადის,
წერა დავიწყე, ვით კოღო.

—

ანგელოზი და ეშმაკი
მუდამ იმაზე ომობენ:
ღმერთმა თუმც ადამს შთაბერა,
ისინი თვისთვინ ნდომობენ.
მაგრამ ჩვენ დიდიხანია,
ხომ უარვყავით დაპყრობა;
მას, მას, — ვაკუთნებთ ვისთანაც,
ოდითვე ჰქონდა თანხმობა.

ჩვენ კი ამ სიტყვის თავშია,
ორი ანბანი გვპირია!
სხვა გინდ ანგელოზს ენებოს,
გინდ ეშმაკს დაუპირია...

—

თქვენ ორჯელ გაიმეორეთ,
ესე ნეპოვნი დიდება;
რადგან შარადის გამოხსნა
უფროორე გაადვილდება...

—

განცხრომის სასუფეველის,
ვისაც ებარა კარები:
ვის აუმხედრდა ყოველ მხრივ
ერთად მუშა და ჯარები;—
მის სახელს თავში ერთანბანს,
დაუსვით ხანჯლის პირია;
სხვა კი გადუ დეთ-რწყილეთში,
არ გადმოგადვას ჭირია...
შემდეგ კი სამხრეთისაკენ
მიაპყართ თქვენი გონება;
მთა ბუმბერაზი, მცხოვანი,
ცას მკერდში რომ ეკონება,—
(იქ სადაც ნოესი, ხოლმადი
გარიყა წყალთა ტალღებმა,
სადაც სიმთვრალე დასცინეს,
პამას უგნურმა ბალღებმა).
იმას ბოლოში მოჰკვეთეთ
სამი ანბანი წუნარადა;
შემდეგ მოვდგეთ და ავაწყოთ
და გავათაოდ შარადა...

—

აჰუ, დალახვროს გამჩენმა
ამის ყოველი ავობა;
ამან დაღუპა მთლად ჩვენი,
მოზარდი ახალ თაობა...
ვერ შველის, ვერც ცეხანოვსკი,
ვერცა გაზეთი „ქალთა ხმა“.
ამა საშიშარ სენისგან.
მტერიც კი იხსნას ჰალახმა.*)

რო—კო.

---

*) ახალთაობას რა უშავს
იმათ დარდს კი გპვუძელი,
მაგრამ ვთხოვ ალლახს: დაიხსნას
მისგან „სახალხო ფურტელი“.

ეშმაკი.

ივანიკა[1])

ივანიკა „თელხის“ შვილო რა დროს მოესწარი? –
რომ საბრალოთ დარჩი განზე დაგიკეტეს კარი!!
შენმა უხეშ სიტყვამ შეჭქმნა ხალხში შიშის ზარი!
სად მიქროდი განზე ნეტავ როგორც ნიავ-ქარი?!.
გლეხის შვილათ დაიბადე დღეს თავადობ მგონი,
ბა მითხარ გენატვალე თუ ხარ მოსწორნი?!.
ხალხში ყმათ უწდომია შენი ხმა და ტონი,—
განა ამას მოელოდა შენგან **დაბა ხონი**?!.
დედას რისთვის აქვითინებ შენზე ავის მოქმელსა?
ცხოვრებაში ბევრს შეხვდება კაცი უფრო თხელსა:
მოქეიფეს, მოდაბთავეს, ანუ დვინის მსმელსა,—
მაგრამ მაინც ალარ ვიცი—ვიდევ უჩიტელსა?!. (?)
დაიცადე: ჯერ ცხოვრება თუ ვის გაამართლებს!
მანამ ფფიქრობ ნარდზე ჩემო ნუ.გაყრი კამათლებს!!
თორემ, ხედავ შაშის კარი ადრე ჩაიკეტა!
დედა ტრემლით წუევას გითვლის—მამამ გაგიმეტა!!
დრო ხომ ხედავ ადარ გიცდის, გზდუდაგს ბოიკოტი!
და ცხოვრების საფეხურზე ჩამოგიტეა ტოტი...
რადას აქნევ! ცხოვრებაში არ გიხმობს წადგოტი,
დიდის სიომ გადათელა შენში სულის ულორტი!
ჯერ იეო და მამა შენი ტანჯვით სულს დაფავდა,
ცხოვრებაში საარსებოთ ბარ-საკვეთს ჩარხავდა...
ჭირი-ლხინი ერთი იეო, ნუგეშს გულში ზრდიდა...
და ფიქრობდა: მომესწრება,—ჯავრს გულს მით იერიდა!!
მაგრამ რაა—„უმეცარათ კაიზარდე შვილო“!
რათ დაკარგე მამაშენის: ხნე, ადათი, კილო“!
ასე ჩიგა მამა შენი, ვენესით დავა ხალხში;
„ვაი ჩემო ივანიკა“ დდე-დამ, შინ თუ კარში...
მამაშენის მწუხარებას ვაზიარებ ვანო,
მსურს მოგსტატო დდის წედულები—ნიავს გავატანო!..
და ამ მიზნით მოვედ, მარა ადარ დამხვდი სახლში—
„ვაი ჩემო ივანიკა“ დაბდადა კარში!..
ეხლა ვფიქრობ ივანიკა, რა დროს მოესწარი?—
რომ საბრალოთ განზე დარჩი დაგიკეტეს კარი!!
შეხე, როგორ ვენესით გმოსავს „გოლგოუედი“ ქნარი—
ასე მწუობრათ დაატარებს ამბავს ნიავ-ქარი...

ი. გოლგოთელი.

---

1) ხონელ მკითხველს ვსთხოვ · საერთოდ ეს ლექსი სიმღერით წაიკითხოს ივა-ნანის ხმაზე.

ი. გ.

ეშმაკის კომისარი ქ. ოზურგეთში

ხალხმა დილიდანვე იწყო დენა მდ. ნატანების ხიდისკენ. მიდიოდენ შორეული სოფლებიდანაც, მარსელიოზას ხმა ცათ ადიოდა. ვმხიარულობდით. მიზეზიც გვქონდა საამისო: ვეგებებოდით ქვეყნის გაჩენის დღიდანვე ტანჯულ-წამებულს, ხოლ დღეს თავისუფალ მოქალაქეს, ბორკილ აყრილ მსოფლიოსა მთავარ-კომისარს—ამხ. ეშმაკისას.

ორი საათი შესრულდა და კიდეც გამოჩნდა წითელი დროშებით მორთული ეტლი. მეეტლეს მარცხნით სანატრელი სტუმარი უჯდა, შიგ ეტლში კი მოთავსებულიყვენ ოზურგეთის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, რომლებიც სად. ნატანებში დაუხვდენ ამხ. ეშმაკის კომისარს, აჰა,—ეტლიც მიგვიახლოვდა. უცებ მას გარს შემოერტყა მხარ მაგარ ახალ-გაზდების მოზრდილი ჯგუფი... ეშმაკის კომისარი ეტლიდან გადმოიღეს და მხარზე დამჯდარი შემოიყვანეს ხალხში. ,,ურას'' ძახილმა გააყრუა მიდამო.—„ამხანაგეაო და მოქალაქენო, დაიწყო სტუმარმა, როცა სიწყნარე ჩამოვარდა, უპირველესათ ყოვლისა გთხოვთ ძირს დამსვათ, ვინაიდან მე პრინციპიალურათ წინააღმდეგი ვარ მხარზე და ზურგზე ჯდომისა. ზურგზე ხალხს, მოქალაქენო, ძველი მთავრობა ეჯდა! ძირს ზურგზე ჯდომა!"

— ძირს!!!... დაიგრგვინა ხალხმა... და ის ის იყო კიდეც დასვამდენ ამხ. კომისარს ძირს, თუ ამ დროს მე არ ჩავრეოდი საქმეში.

— ამხანაგებო და მოქალაქენო! დავიყვირე თავგამოდებით ამ სტუმარს განზრახ შეცდომაში შევყავართ, როცა ამბობს: „ზურგზე ჯდომის პრინციპიალურათ წინააღმდეგი ვარო". ზურგზე გინდ მხარზე ჯდომა. მოქალაქენო, პრინციპის საკითხი როდია, ის წმინდა ტაქტიკური კითხვაა—და, როგორც ასეთი, ერთ შემთხვევაში შეგვიძლია მივიღოთ, ხოლო მეორეში არა. საქმე ფორმა როდია, არამედ ამ ფორმის შინაარსი, სარჩული. ამ მხრით თუ მივუდგებით საკითხს, დავინახავთ, რომ ხალხის დღევანდელი მოქმედება მოსაწონია, ვინაიდან ის გამომდინარეობს თავისუფალ მოქალაქეთა შეუბოჭავ ნების ყოფიდან. ამ. კომისარმა ეს ძალიან კარგათ უწყის და, თუ ის მაინც მოითხოვს მიწაზე დასმას, ეს სავსებით მის ქალწულებრივ სიმორცხვეს მიეწერება. მოქალაქენო, გაუმარჯოს ეშმაკის კომისარს, გაუმარჯოს მის ეხლანდელ მდგომარეობას!

— გაუმარჯოს!.. ერთხმათ იყვირა ხალხმა.

სტუმარი დარწმუნდა, რომ თხოვნის ხელმეორეთ განმეორებით ვეღარაფერს გახდებოდა და დანებდა ბედს:

წარმოითქვა სიტყვები.

პირველათ სიტყვა სტუმარს ამ. მ. საბაშვილი მიესალმა. შედარებით მოკლე დროს განმავლობაში (სულ რაღაც სამსაათნახევარი ილაპარაკა) ის ვრცლათ შეეხო სამეფო დინასტიის და მისი „დამჭაშვ-ბის" დამარცხების ისტორიას. მისმა სიტყვამ, როგორც ხალხზე, ისე სტუმარზე,—დიდისაგან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით კარგი იყო სიტყვის ის ნაწილი, სადაც ორატორმა მხატვრული ფერებით ასწერა ნიკოლოზ მეორის საბრეველზე ალისას და გრ. რასპუტინის მიბნედილი განცხრომა. ხალხმა ორატორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

ს. ფ. სახელით სიტყვა წარმოსთქვა არ. მხეიძემ; მან საჯაროთ განაცხადა, რომ მთელ საქართველოში, და კერძოთ გურიაში, ს. ფედერალისტები დღითი დღე მრავლდებიან, და შორს აღარ არის ის სანეტარო დრო, როცა ყოველი მართლ-მორწმუნე ქართველი ს. ფ. დროშას შეაფარებს თავს. ამხ. კომისარი ძალიან ასიამოვნა მხეიძის გმირულმა განცხადებამ. მხეიძის შემდეგ ამ. სტუმარს ცეცხლის მქრობალთა რარმის წარმომმდგენელი მიესალმა. მისალმებას თან ხსენებული რაზმის მოქმედების ისტორიაც მიაყოლა. „ჩვენ თავ-განწირულათ ვმუშაობთ, განაცხადა მან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი რაზმის დაარსების დღიდან არც ერთს ჩვენი რაზმის წევრს ოჯახში ცეცხლი არ გასჩენია, ვინაიდან ყველა ჩვენგანი დაწოლის ხანს ცეცხლს აქრობს და ისე იძინებს. ჩვენ ფას-უდებ შრომას ვეწევით და... მით უფრო გვაშფოთებს ზოგიერთების მიერ გავრცელებული ჭორი, თითქოს ჩვენი რაზმის დაარსებას რაღაც სხვა მიზანი ჰქონდა სარჩულათ და არა ჩვენი საყვარელი ქალაქის ცეცხლის განმანადგურებელი მოქმედებისაგან უზრუველ ყოფა! ორატორის უკანასკნელი სიტყვები ზღვა-ხალხის დაუსრულებელმა ტაშმა ჩაყლაპა...

მეოთხეთ ტრიბუნაზე ადგილობრივ მანდილოსანთა წრის წარმომადგენელი ავიდა, რომელმაც თავის მოხდენილი სიტყვა ასე დააბოლოვა: ,,დიახ,

ქვეყანა იტანჯებოდა, და ყველაზე მეტი წილი ამ ტანჯვაში ჩვენ, დედა-კაცებს გვედო. დემოკრატიული რუსეთი არ მოითმენს არავითარ უსწორ-მასწორობას! მამაკაცებმა თავის დროშაზე „ქალთა სწორუფლებიანობაც“ უნდა წააწერონ... ჩვენ მათთან ერთათ ვივლით და შეერთებული შეტევით დავამხობთ ერიქონს, დავიპყრობთ აღთქმულ ქვეყანას. მამაკაცებს უნდა სწამდეთ, რომ ჩვენ მათ მტკიცეთ შეუდგებით და მანამ არ გამოვეშლებით, სანამ ისინი წმინდა დემოკრატიულ პრინციპებს ემსახურებიან... გაუმარჯოს ამ. ეშმაკის კომისარს, გაუმარჯოს ქალთა სწორუფლებიანობას!“ ორატორი ქალი საზოგადოებამ მწყობრი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ორიგინალური სიტყვა წარმოსთქვა ქალ. თვით-მ-ობის წარმომადგენელმა. აქვე მოგვყავს ეგ მოკლე, მაგრამ შინაარსით მდიდარი სიტყვა: „ძვირფასო სტუმარო“ ჩემი პირით მოგესალმება ქ. ოზურგეთის მრავალ-ტანჯული თვით-მ-ობა. თქვენ მოხვედით და ჩვენი გული უსაზღვრო სიხარულით აავსეთ, მაგრამ ვალში არც ჩვენ დაგრჩებით: ისეთ ამბავს გეტყვით, რომ სიხარულისაგან ცახცახს დაიწყებთ. ქალაქის თვით მ-ობა, ამ დღეებში გენერალური რევოლიუციის მოხდენას აპირებს, რომ მით ერთხელ და სამუდამოთ სასურველათ გადასჭრას ეგრეთ წოდებული „ღორთა საკითხი“. უმნიშვნელო შეტაკებები ღორებთან დიდიხანია სწარმოებს, მაგრამ ასეთი საშვალებით მიზანს სანახევროდაც ვერ მივაღწიეთ: ღორები კვლავინდებურათ გამოდიან ქუჩებში და გულშემზარავი ღრუტუნით თავისუფალ მოქალაქეთა მყუდროებას არღვევენ. ღორების ასეთმა უსირცხვილობამ ჩვენი მოთმინების ფიალა სავსებით აავსო და, როგორც უკვე მოგახსენეთ, იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მათ წინააღმდეგ რევოლიუციის მოხდენა გიდავსწყვიტეთ. ამხანაგებო, გაუმარჯოს ჩვენ მიერ განზრახულ რევოლიუციას?“

— გაუმარჯოს... გაისმა ხალხის მჭექარე ხმა. აღელვებულმა ორატორმა ტრიბუნა დასტოვა.

და ბოლოს სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა ამ. კომისარმა. ის, სხვათა შორის, შეეხო ქალ. თვით-მ-ის წარმომადგენლის მიერ აღძრულ კითხვასაც და სთქვა: „ღორები, ამხანაგებო, თავისი მდგომარეობით არ შეადგენენ რეაქციონურ კლასს და ამიტომ მათ წინააღმეგ რევოლიუციის მოხდენა შეუწყნარებელია. ესეც არ იყოს,—რევოლიუციით ვერც დავტუქსავთ მათ, ვინაიდან ყველა არა რეაქციონურ კლასს საზოგადოებაში ღრმათ აქვს ფესვები გადგმული და ძალით იმისი დამორჩილება, სასურველიც რომ იყოს, შეუძლებელია. ასეთ რევოლიუციას აუცილებლათ ძლევა-მოსილი კონტრ-რევოლიუცია მოჰყვება. უმჯობესია ღორებს მოწოდებით მიმართოთ და შეაგნებიოთ მათი მოქმედების ანტისაზოგადოებრივი და ანტისანიტარული მნიშვნელობა,—შეიძლება მათთვის საკვირავო შკოლებიც მოაწყოთ. ეს და ერთათ ერთი სწორი გზას ხსენებული კითხვის სალიკვიდაციოთ“.

ამასობაში დაღამდა კიდეც, და საზეიმო პროცესია ქალაქისაკენ დაიძრა. ამხ. კომისარი ოზურგეთში სულ სამი დღე დარჩა, მეოთხე დღეს დილით საგანგებო მატარებლით ის აჭარისკენ გაემგზავრა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯოჯოხეთის მპყრობელის აქ ყოფნას არავითარი ექსცესი არ გამოუწვევია. მშვიდობიანათ ჩატარდა გამოსათხოვარი მიტინგიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ს. ცხომელიძე, როცა გამოსათხოვარ სიტყვას ამბობდა, მეტის-მეტი აღელვების გამო ტრიბუნიდან გადმოვარდა და მარჯვენა ფეხის ცერი იღძრო. ის ქალაქის საავთმყოფოში მოათავსეს...

d.

წერილი ს. ნახახულევიდან

სალამი შენდა ეშმაკო,
სალამი დაბა სოფლისა;
სალამი ტანჯულ-გვემულის
თუ გინდ „სალდათის“ ცოლისა.

—:—

მიიღე წრფელი მოკითხვა,
ცისა და ქვეყნის გენია;
ნუ მოიძულებ, განაგე
სადაც სამეფო შენია.

—:—

დარწმუნდი დაბა-სოფელი
სალხენად გამოიცვალა;
მზემ შუქი ჰფინა მიდამოს
ცხოვრებამ ფერი იცვალა.

—:—

ირგვლივ ჰიკჰიკი გაისმის
ძმობა ერთობის ჰანგებზე,

ენა მეტყველობს უვიციც,
და ღიმი უკრთის ბაგეზე.

—:—

კომიტეტები, რათქმაა,
ბჭობენ და საქმეს წალდავენ;
განადგურებულ სოფელსა
კვლავ აშენებენ, მართავენ.

—:—

ქალების საქმე, ეშმაკო!
სწორეთ რომ საკვირველია;
ყველა მებრძოლი გამოდგა
ძმობა ერთობის მცველია.

—:—

მოკლე კაბებსა იცვამენ
ქალიშვილი და ბებია;
ბევრ კარგ საქმესა ფიქრობენ...
ასე გავრცელდა ხმებია.

—:—

ფედერალისტებს ნუ მკითხავ,
ეშმაკო, შენსა ლხენასა
თორემ იმათგან გეთაყვა
მივიღებ მრავალ წყენასა.

—:—

გავიგე ხონის უბანში
ისინი გააჯავრესო
ჯარის კაცებმა ხელიდან
დროშები გამოსტაცესო.

—:—

მოგახსენებენ, ზოგ მათგანს
თურმე შემოჰკრეს სილები;
რამეთუ ჯარის კაცები
ყოფილან გალეშილები.

—:—

მიკიტნებს ღვინის ყიდვაზე
ააღებიე ხელია;
თორემ დროშების დახევას
მე კიდევ მრავალს ველია.

—:—

დღეს ეს იკმარე, ეშმაკო!
ხვალ სხვა იქნება საწერი;
ვემორჩილები შენს ნებას
როგორც გენებოს გასცერი.

ბრიშა იმერელი

ვარლამის ხერხი

(რკინის გზის მთავარ სახელოსნო).

ბევრი შრომა გასწია ვარლამმა*) მერასკოლე ამხანაგების გასამრავლებლათ და რაკი ვერას გახდა იძულებული შეიქნა შემდეგი ხერხისთვის მიემართა. აიღო კარანდაში, ქაღალდი და ჩამოჰყვა.

— ბიჭო მიხო!

— ჰამე.

— შენ რომელ ფრაქციას ეკუთვნი?

— მე შენი ჭირიმე კასპის სტანციას ვეკუთნი.

— თფუ ღმერთმა დასწყევლოს ბნელი მუშა. სტანციას კი არა ფრაქციას გეკითხები ბოშო, ფრაქცია არ იცი? მენშევიკი ხარ, თუ ბალშევიკი. ერთი ყნობს ნელმვო, მეორე უნობს ჩქარავო გაიგე? ჰო-და ეხლა შენ რომელში გინდა ჩაეწერო?

— მე ი მე... ნელა რო ამბობს იმაში ჩამწერე, ავათ მყოფი კაცი ვარ, ჩქარა მუშაობა არ შემიძლია შენი კვნესამე.

— ბოშო აქანე მუშაობაზე კი არა მომატებაზეა ლაპარაკი...

— მაშ იმაში ჩამწერე ჩქარა რომ იძახის.

მოუსვა ვარლამმა კარანდაში, ის იყო უკანასკნელ ასოს წერდა გვარისას რომ თვალი მოჰკრა ქამარ ჩავარდნილ მუშას და ამხანაგს ყვირილით მისკენ გაემართა.

— რეიზა ჩაგვარდნია ამხანაგო ქამარი?

— მუსაობასი ჩაგვარდა სენი წირიმე, ხელები დასვრილი გქონდა და ვერ აიწიე.

— მუშაობაში კი არ შენ გშია შე სულელო, სიმშილის წამალია პური. პურის საყიდლათ ჯამაგირი არ გყოფნის და თუ გინდა ერთ კვირაში მიიღო მომატება ჩეწერე ჩემს ფრაქციაში.

ასეთი დაპირებით ჩასწერა ვარლამმა ორასი ხალათ დახეული, სამასი ფართუკ დაგლეჯილი, სამასი ჩუსტებ გაცვეთილი მუშა და საკასტუმო მომატებისთვის კი შემდეგ ჩამოიველის.

ძამია.

*) მხედველობაში მყავს მარტოთ ვარლამი.

ველისციხიდან.

ჩვენი კოოპერატივი,
როგორცა სჩანს სულსა ღაფავს.
იქნება თუ ამის გამგე
„მუშაობს“ და ოხრათ ქაფავს?!.
თითქმის ორი წელი გახდა,
რაც არსებობს ეს დუქანი.
მას განაგებს თავიდანვე
ვასილ ოსეპიჩ, მსუქანი.
თუმცა საქმე დღემდის კარგათ
მიდიოდა ნელა ნელა...
დღეს კი კოჭლობს, ოხრათ კოჭლობს
(ამას ხედავს თითქმის ყველა).
სიმართლის თქმა მსურს და ვამბობ,
გაქრეს ჩვენი ხალხის „ჯიში“.
ნუ თუ დღემდე მაინც ვასოს
ვერ მოსთხოვეს ანგარიში?
გამგეობის წევრები ხომ
საქმეს მუდამ გაურბიან.
ან ჩვენ ლევან ღრიალაძეს
სოფლის დუქნისთვის სცალიან?
ნეტავ იმან მის აფთიაქს
უპატრონოს უგდოს ყური.
(ნუთუ ეს კი სოფლისათვის
არ იქნება სამსახური?)
ოფიციალურათ დუქანს
თითქო განაგებს თავ-სქელა;
ფაქტიურათ კი სიმონა
გიგუშა და კოროფელა*).
ნეტავ როდის შევესწრები
დაეკარგოს ჩვენ ხალხს შიში,
და მოსთხოვოს გამგე ვასოს
ხალხის დუქნის ანგარიში.

ჯიბილა.

*) ეს უველა საქმის ხალხია
არ გეგონოთ ტრუბენტელა.
როგორც გამოტდილ ნოქრებსა
ამათ იცნობს თითქმის ყველა.

---

* *
*

ამ საერთო ტალღას აჰყვა
მოხუცი, თუ ახალგაზრდა,
ხალხის მტერი და ორგული,
ყველა ერთგულს დაემსგავსა,
გუშინ ძველ ღმერთს ლოცულობდა,
სადიდებლად იგი ჰყავდა,
გული ისევ ძველი შერჩა,
შიშით გაღმოხულიგანდა.
შიშით ძალაუნებურად,
მებრძოლთ გვერდში იმოუდგა
გულით მაინც იუდაა,
პირში იმის სული უდგა,
გამყიდველებს ამხანაგო,
დიდი დაკვირვება უნდა,
თუ შევატყოთ არ დავზოგოთ,
შევაყაროთ ქვა და გუნდა.

ალექსანდრე კვაჭაეძ.

ფოსტა

ლაილაშელს. არ დაიბეჭდება.
სიმ ჯოგბენაძეს—არ დაიბეჭდება

შალვა თელიას. თქვენ იწერებით.

„წითელი დროშის ძირშია
გაწითლდა ჩემი გულია“

ჩვენის აზრით ეგ დროშის ბრალი არ უნდა იყოს, თორემ თუ თქვენს ლექსს დავუჯერეთ, წითელი დროშის ძირში დაწოლამდე თქვენ შავი გული გექნებოდათ

ქვედა საფირჩხიელს.

„ითას, ცხრაას ჩვიდმეტს
გადაბრუნდა დროი
ძირსა დაეცა მტარვალი
ხულიგანის **რბოი.**“
„მათი მომხრეებს უნდა
გაგვიტოტხლოს მტერი
მაგრამ კი არ იცის,
რომ თლათ შეშლამს მგელი“.
„ვურჩევ მე იმ ბირებს,
რომ გასწორდენ კიდეც
შეგვიერთდენ გულით
ნუ უფურებს ვირებს“.

ამ სამი კუპლეტიდან ჩვენ ყველაზე უფრო უკანასკნელი მოგვწონს, ვინაიდან მცირე იმედს გვიძრავს. ვინ იცის, თუ კი თქვენ ურჩევთ ხულიგნებს თავი დაანებონ ხულიგნობას, იქნებ ჩვენი რჩევაც მიიღოთ და თავი დაანებოთ ლექსების წერას.

გერმან მათითაშვილს. თქვენს ლექსში სწერია:

„გეგიხედე, ერთ ორშაბათს
მოჩანჩალდა შვამვალი

შეკთვერით და შემოკთვერით
შემოკსძახეთ თან სუფრუდი“.

ნუ თუ არ იცით, რომ „შეთრობა-შემოთრობაზე“ ახლა ლაჰარაკიც არ შეიძლება, არა თუ გლახა ლექსების წერა?

დ. დანელიას. ვერ გავარჩიეთ.

ბუზანკალას. იმათზე ბევრი ითქვა.

უნუგეშო გადავარდნილს. თქვენი წერილიც უნუგეშოთ გადავარდა... საით?

ნ. ჩუბინიძეს. თქვენი სურათის შინაარსი ვერ გავიგეთ. გთხოვთ განმარტებას.

სტეფანე კასრაძეს. სურათი არ გამოგვადგა. დახატეთ რამე ადგილობრივი გასაგები.

ა. მაწანწრელს. თქვენ იწერებით:

„იმდენი ბარტიები დაადგინეს ამ ქალაქში
რომ ხელისა და ფეხის თითები არ გმეყოფა მათ ჩამოსათვლელათო“.

აი როდის იყო საჭირო ოთხი ფეხი გქონოდათ.

კრუხიშვილს. იწერებით „იმედია ამ ლექსს დამიბეჭდავთ, რადგან გონორარს არ ვთხოულობო“.

საქმე რომ ისე იყოს, ჩვენ ვარჩევდით გონორარის გადახდას, ვიდრე თქვენი ლექსის დაბეჭდვას.

სოც. დემ. კონფერენციაზე



აკაკი ჩხენკელი იცავს ნოე ჟორდანიას ტეზისებს ნაციონალურ საკითხში.

რედაქტორი **ეშმაკი.** სტამბა **ვ. რუხაძისა,** გაბაევის შესახვ. № 1.